პროექტი

ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო

კრება

გადაწყვეტილება

ს/ს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო

კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე:

საკითხი 1: ს/ს „სარაჯიშვილის“ წესდებაში ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებების მიხედვით კრების ჩატარების თარიღისათვის კონსოლიდირებული წესდების დამტკიცების შესახებ

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ს/ს „სარაჯიშვილის“ წესდებაში შესატანი ცვლილება და აქციონერთა კრების ჩატარების თარიღისათვის კონსოლიდირებული წესდება.

საკითხი 2: ს/ს „სარაჯიშვილის“ 2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგებისა და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების შესახებ.

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ს/ს „სარაჯიშვილის 2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

საკითხი 3: ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების შესახებ

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების წარმოდგენილი პროექტი:
დამტკიცდეს ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების წარმოდგენილი პროექტი რაც გულისხმობს: ს/ს „სარაჯიშვილის“ 2022 წლის წმინდა მოგება 10 893 916 ლარის ოდენობით დარჩეს გაუნაწილებლად, განაწილდეს დივიდენდებად 2022 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული გაუნაწილებელი მოგებიდან (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) 58 423 474 ლარიდან 6 347 835 (ექვსი მილიონ სამას ორმოცდაშვიდი ათას რვაას ოცდათხუთმეტი) ლარი, რაც შეადგენს 1 აქციაზე 3.5 (სამნახევარ) ლარს საშემოსავლო გადასახადების ჩათვლით; დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად

განისაზღვროს 2023 წლის 24 ოქტომბერი; დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 9 ნოემბერი, ხოლო დივიდენდების გაცემის დამთავრების თარიღად კი 2024 წლის 9 მაისი.

საკითხი 4: საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შეფასების შესახებ.

გადაწყვეტილება:

შეფასდეს დადებითად ს/ს „სარაჯიშვილის" სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობა.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გაწული მუშაობის შინაარსი: 2022 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 4 (ოთხი) სხდომა. საბჭოს სხდომებზე განხილული იქნა 9 საკითხი, რომლებიც ეხებოდა როგორც, სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის კომიტეტის მუშაობას, ისე ხელმძღვანელი ორგანოს მიერ საბჭოსთან კანონის მოთხოვნით შესათანხმებელ საკითხებს (სესხებზე თავდებობა, დირექტორებისათვის უფლებამოსილების მინიჭებასა და სხვა).

აღსანიშნავია ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციაც, კერძოდ, მიუხედავად 2022 წელს, უკრაინაში მიმდინარე ომისაგან წარმოქმნილი შედეგებისა, რეალიზებული პროდუქციის ღირებულებამ 37,5 მლნ. ლარი შეადგინა.

საკითხი5.
სხვა და სხვა საკითხები.

ს/ს „სარაჯიშვილის" სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარე, აქციონერთა
საერთო კრების თავმჯდომარე:
ელგუჯა ბუბუტეიშვილი